<p>1. უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საკუთრების დაცვის ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, ცენტრის შენობის გარე პერიმეტრსა და შენობის დერეფნებში წარმოებს ვიდეოკონტროლი.</p> <p>2. ვიდეოკონტროლის წარმოება, დამატებით, დასაშვებია უშუალოდ აუდიტორიუმში, შეფასების პროცესის კონტროლის მიზნით და ვიდეოკონფერენციის დროს ვიდეოჩართვისთვის. გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებისა და საჭიროების გათვალისწინებით, ვიდეოკონტროლის წარმოება დასაშვებია უშუალოდ სამუშაო ადგილას, თუ სხვაგვარად შეუძლებელია წინამდებარე დებულებით დადგენილი მიზნების მიღწევა.</p> <p>3. ცენტრის გარე და შიდა პერიმეტრზე წარმოებული ვიდეოკონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსებულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილებში.</p> <p>4. ცენტრში ვიდეოკონტროლის წარმოება დასაქმებული პირების სამუშაოზე გამოცხადების, ნამუშევარი დროის, ცენტრის დატოვების ან სამუშაოს ხარისხის შეფასების მიზნით - დაუშვებელია.</p> <p>5. აუდიოკონტროლის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ცენტრის მიერ დისტანციური მომსახურების განხორციელებისას ან მომსახურების გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ცენტრის უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით, სუბიექტის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში.</p> <p>6. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები ინახება არაუმეტეს 1 თვის ვადით, ხოლო აუდიომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები - 3 თვის ვადით.</p> <p>7. ცენტრის ბაზაზე მოქმედებს შემდგომი ვიდეო კამერები:</p> <p>ა) შიდა ვიდეო კამერა- სიმულატრებზე (ხმოვანი) და აუდიტორიაში (ხმოვანის გარეშე) (განადგურდეს ყოველი 1 წლის შემდეგ);</p> <p>ბ) გარე ვიდეო კამერა - შენობის (ხმოვანის გარეშე) (განადგურდეს 3 თვის შემდეგ);</p>	<p>1. In order to ensure security, protect property and/or protect confidential information, video surveillance is carried out in the outer perimeter of the center building and in the corridors of the building.</p> <p>2. Production of video control is additionally allowed directly in the auditoriums, for the purpose of controlling the assessment process and for video inclusion during the video conference.</p> <p>In exceptional cases, taking into account the relevant written justification and need, video monitoring is allowed directly at the workplace, if it is otherwise impossible to achieve the goals set by this provision.</p> <p>3. A warning sign about the video surveillance on the outer and inner perimeter of the center is placed in appropriate visible places.</p> <p>4. Production of video surveillance in the center for the purpose of reporting to work, working time, leaving the college, or evaluating the quality of work is not allowed.</p> <p>5. The implementation of audio control is allowed only when the center implements remote services or for the purposes of service improvement, in case of prior notification of the subject.</p> <p>6. Records obtained as a result of video monitoring are kept for no more than 1 month, and records obtained as a result of audio monitoring - 3 months.</p> <p>7. Further video cameras operate at the base of the center:</p> <p>a) internal video camera - on simulators (sound) and in the audience (without sound) (to be destroyed after every 1 year);</p> <p>b) external video camera - of the building (without audio) (to be destroyed after 3 months);</p> <p>c) Maritime Transport Agency camera - training process (to be destroyed after 1 (one) week);</p> <p>8. Information about the use and operator of said cameras should be posted in a publicly accessible place.</p>
---	--

<p>გ) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კამერა - სასწავლო პროცესის (განადგურდეს 1 (ერთი) კვირის შემდეგ);</p> <p>8. აღნიშნული კამერების გამოყენებისა და დამმუშავებლის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას.</p>	
<p>მუხლი 11. შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვა</p> <p>1. ცენტრში დასაქმებული პირების სამუშაო ადგილზე დროული გამოცხადებისა და შესაბამის დროზე დატოვების, ასევე, ნამუშევარი საათების გამოთვლის მიზნით იწარმოება აღრიცხვა.</p> <p>2. შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის შედეგად მოპოვებული მონაცემები ინახება არაუმეტეს 1 წლით.</p> <p>3. აღრიცხვის ჟურნალი უნდა ინახებოდეს 6 თვის ვადით. ჟურნალში აკრძალულია თანამშრომელთა პირადი მონაცემების მითითება.</p>	<p>Article 11. Registration of entry and exit to the building</p> <p>1. In order to calculate the working hours of the persons employed in the center, the on-time reporting to the workplace and leaving at the appropriate time is recorded.</p> <p>2. The data obtained as a result of the registration of entry and exit to the building shall be stored for no more than 1 year.</p> <p>3. The registration log must be kept for a period of 6 months. It is forbidden to indicate the personal data of employees in the magazine.</p>
<p>მუხლი 12. ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება</p> <p>1. ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციის მიზნით, ცენტრი ამუშავებს დასაქმებული პირების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულების, მსმენელების ელფოსტებსა და ტელეფონის ნომრებს.</p> <p>2. ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება სიახლეების მიწოდებისა და სარეკლამო შეტყობინებების (პირდაპირი მარკეტინგი) გაზიარების მიზნით დასაშვებია მხოლოდ სუბიექტის თანხმობით. თანხმობა უნდა იყოს მიღებული ნებაყოფლობის საფუძველზე. თანხმობის გამოთხოვა დასაშვებია დაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ნებისმიერ დროს. თანხმობის გათხოვასთან დაკავშირებით კოლეჯი და ცენტრი უფლებამოსულია ადასრულოს გამოხმობასთან დაკავშირებული შესაბამისი ნაბიჯები, მათ შორის გამოირთოს ის ელექტორულული პლატფორმები და სისტემები, რომელიც უზიარებს საკრეკლამო შეტყობინებებსა და შეთავაზებებს. კოლეჯი გამოხმობასთან დაკავშირებით უფლებამოსილია</p>	<p>Article 12. Use of e-mail and telephone number</p> <p>1. In order to communicate efficiently and quickly, the Center processes the e-mails and phone numbers of employees, vocational education teachers, instructors, vocational students/trainees, and graduate, trainees.</p> <p>2. The use of e-mail and telephone numbers for the purpose of providing news and sending advertising messages (direct marketing) is allowed only with the subject's consent. Consent must be obtained on a voluntary basis. Requesting consent is allowed at any time in accordance with the rules established by the Georgian legislation. With respect to consent withdrawal, the College and Center are authorized to take appropriate opt-out steps, including disabling electronic platforms and systems that send promotional messages and offers. The college is authorized to act in accordance with the rules established by the legislation of Georgia.</p> <p>3. The data subject has the right to request the termination of the use of the e-mail and/or telephone number for marketing purposes, which must be complied with immediately.</p>

<p>იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>3. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ელ-ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის გამოყენების შეწყვეტა მარკეტინგული მიზნებისთვის, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.</p>	
<p>მუხლი 13. მონაცემთა სუბიექტის უფლებები</p> <p>1. მონაცემთა სუბიექტს ნებისმიერ დროს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) რომელი მონაცემი მუშავდება და რა მიზნით;</li> <li>ბ) მონაცემთა მოპოვების წყარო;</li> <li>გ) მონაცემთა შენახვის ვადა;</li> <li>დ) რა უფლებები გააჩნია მონაცემთა სუბიექტს დამუშავების მიმდინარეობისას;</li> <li>ე) ხდება თუ არა დამუშავება პროფილირების საფუძველზე;</li> <li>ვ) ვის შეიძლება გადაეცეს (გადაეცემა) მისი მონაცემები და რა საფუძველით;</li> <li>ზ) გადაიცემა თუ არა მისი მონაცემები საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სხვა სახელმწიფოში და რა საფუძველით.</li> <li>თ) მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;</li> <li>ი) მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;</li> <li>კ) მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;</li> <li>ლ) მონაცემთა დაბლოკვის უფლება;</li> <li>მ) მონაცემთა გადატანის უფლება;</li> <li>ნ) ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები;</li> <li>ო) თანხმობის გამოხმობის უფლება;</li> <li>პ) გასაჩივრების უფლება.</li> </ul> <p>1<sup>1</sup>. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლებების რეალიზაცია ხორციელდება წინამდებარე დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>2. ინფორმაციის მიღება, დამატებით, შესაძლებელია დამუშავების პროცესის, მისი</p>	<p>Article 13. Rights of the data subject</p> <p>1. The data subject at any time has the right to receive information about the data processed about him, in particular:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>a) which data is processed and for what purpose;</li> <li>b) source of data acquisition;</li> <li>c) data storage period;</li> <li>d) What rights does the data subject have during processing;</li> <li>e) whether processing is done on the basis of profiling;</li> <li>f) to whom his data may be transferred (to be transferred) and on what basis;</li> <li>g) whether his data will be transferred to an international organization or another state and on what basis.</li> <li>h) the right to access and receive a copy of the data;</li> <li>i) the right to correct, update and complete data;</li> <li>j) the right to stop, delete or destroy data processing;</li> <li>k) the right to block data;</li> <li>m) the right to transfer data;</li> <li>n) rights related to automated individual decision-making;</li> <li>n) the right to withdraw consent;</li> <li>p) Right to appeal.</li> </ul> <p>1<sup>1</sup>. The realization of the rights established by the first paragraph of this article is carried out in accordance with this provision and the rules established by the current legislation of Georgia.</p> <p>2. Additionally, it is possible to obtain information about the processing process, its forms and methods. The form of receiving (delivery) of information (electronic, written) is chosen by the data subject.</p> <p>3. The requested information must be provided to the subject immediately upon request, unless the provision of information requires their retrieval in an archive, another structural unit, or consolidation and</p>

<p>ფორმებისა და მეთოდების შესახებ. ინფორმაციის მიღების (მიწოდების) ფორმას (ელექტრონული, წერილობითი) ირჩევს მონაცემთა სუბიექტი.</p> <p>3. მოთხოვნილი ინფორმაცია სუბიექტს უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს მათ მოძიებას არქივში, სხვა სტრუქტურულ ერთეულში ან საჭიროა დოკუმენტების კონსოლიდირება და დამუშავება. ამ შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დამატება, იმ შემთხვევაში თუ მონაცემები არაზუსტი ან არასრულია. თუ ცენტრი თავად ჩათვლის, რომ მონაცემები გასასწორებელი, გასახლებელი, შესავსები ან დასამატებელია და თუ არსებობს საამისო მიზანი, 15 დღის ვადაში უნდა მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება მათი გასწორების, დამატების, შევსების ან/და განახლებისთვის.</p> <p>5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერება (დაბლოკვა) იმ შემთხვევაში თუ სადავოა მონაცემთა დამუშავების მიზნები ან/და საფუძვლები, მათი ნამდვილობა ან სიზუსტე. ცენტრი, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ახდენს მონაცემთა დაბლოკვას მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.</p> <p>6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან/და განადგურება.</p> <p>7. მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციისთვის მიმართვა უნდა განხორციელდეს ცენტრის პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.</p> <p>8. ამ მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია თუ ამ უფლებების რეალიზებამ შეიძლება დააზიანოს ან/და საფრთხე შეუქმნას:</p>	<p>processing of documents is required. In this case, information must be provided within 10 working days or in accordance with the rules established by the General Administrative Code of Georgia.</p> <p>4. The data subject has the right to request the correction, update, completion, addition of existing data about him, if the data is inaccurate or incomplete. If the center itself considers that the data needs to be corrected, updated, completed or added, and if there is a valid purpose, within 15 days appropriate measures should be taken to correct, add, complete and/or update them.</p> <p>5. The data subject has the right to request a temporary suspension (blocking) of data processing in case the purposes and/or grounds of data processing, their validity or accuracy are disputed. The center, at the request of the data subject, blocks the data within 3 days of the request.</p> <p>6. The data subject has the right to request the termination of processing, erasure and/or destruction of existing data about him.</p> <p>7. In order to realize the rights of the data subject, the application should be made to the person responsible for personal data protection of the center.</p> <p>8. Limitation of the subject's rights provided for in this article is permissible if the realization of these rights may damage and/or endanger:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>the interests of public safety.</li> <li>crime prevention, investigation, operative-search activities.</li> <li>important financial and economic interests for the country.</li> <li>To fulfill the powers of the state regulatory bodies, including the regulatory bodies of the education system.</li> <li>the rights and freedoms of the data subject and/or others.</li> <li>protection of state, commercial, professional and other types of secrets stipulated by law.</li> <li>implementation of justice.</li> </ol> <p>9. The data subject has the right, in case of violation of the rights and defined rules stipulated by the legislation and this policy, to file a complaint with the</p>
---	---

<p>ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს.          ბ) დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოძიებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.          გ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებს.          დ) სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების, მათ შორის, განათლების სისტემის მარეგულირებელი ორგანოების უფლებამოსილებათა შესრულებას.          ე) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.          ვ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოების დაცვას.          ზ) მართლმსაჯულების განხორციელებას.</p> <p>9. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით და ამ პოლიტიკით გათვალისწინებული უფლებებისა და განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრით მიმართოს ცენტრის პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.</p> <p>10. საჩივრის წარდგენა შესაძლებელია, ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ან/და სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>person responsible for personal data protection of the center - the human resources management manager.</p> <p>10. A complaint can also be submitted to the State Inspector's Office and/or to the court in accordance with the law.</p>
<p>მუხლი 14. ცენტრში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი</p> <p>1. სუბიექტის უფლებების ეფექტური დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა ეფექტური შესრულების მიზნით, ცენტრში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მენეჯერი.</p> <p>2. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მენეჯერის უფლებამოსილებებს წარმოადგენს:</p> <p>ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრის, უფლებამოსილი პირის, ადმინისტრაციული, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინსტრუქტორის, საზღვაო საწვრთნელი ტრენინგ ცენტრის მსმენელის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და</p>	<p>Article 14. The person responsible for personal data processing in the center</p> <p>1. In order to effectively protect the subject's rights and effectively fulfill the requirements of the personal data protection legislation, the person responsible for personal data processing is defined in the center - the manager of the human resources management service.</p> <p>2. The powers of the manager of the human resources management service are:</p> <p>a) Providing consultation and assistance to the center, authorized person, administrative, professional education teacher, instructor, trainees of the Naval Training Center, professional students/trainees and graduates on issues related to data protection.</p> <p>b) Provision of periodic (no more than 6 month intervals) review of the center's internal regulatory document and processing process related to data</p>

<p>კურსდამთავრებულებისთვის კონსულტაციისა და დახმარების გაწევა.</p> <p>ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ცენტრის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტისა და დამუშავების პროცესის პერიოდული (არაუმეტეს 6 თვიანი შუალედით) გადახედის უზრუნველყოფა ცენტრის იურისტთან და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთა ერთად, კანონმდებლობასთან თავსებადობის მიზნით.</p> <p>გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირება.</p> <p>დ) ფაილური სისტემის კატალოგის შექმნა და სახელმწიფო ინსპექტორისთვის წარდგენა.</p> <p>ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლება მოვალეობების განხორციელება, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებით.</p> <p>3. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი საკუთარი უფლებამოვალეობების შესრულებისას არის დამოუკიდებელი და მათი შესრულებისთვის ანგარიშვალდებულია უშუალოდ ცენტრის დირექტორის წინაშე.</p> <p>4. დაუშვებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისთვის საქმიანობაში დაბრკოლების შექმნა ან ნებისმიერი სახის ხელშეშლა. პირი, რომელიც ხელს შეუშლის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში, წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საგანს და მის მიმართ დაიწყება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით განსაზღვრული პროცედურები. გარეშე პირის მიერ, ხელის შეშლის შემთხვევაში, დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია მიმართოს საქართველოს გამომიებო სტრუქტურებს.</p> <p>5. ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი არ აგებს პასუხისმგებლობას იმ მასალის დამუშავებაზე ან დამუშავებასთან დაკავშირებულ პროცედურებზე, რომელი ინფორმაციც</p>	<p>processing together with the center's legal and quality assurance managers, in order to ensure compatibility with the legislation.</p> <p>c) Responding to incoming applications and complaints regarding data processing.</p> <p>d) Creating a file system catalog and submitting it to the state inspector.</p> <p>e) Implementation of other rights and duties established by the current legislation of Georgia, which includes and is not limited to the requirements established by the law of Georgia "On Personal Data Protection".</p> <p>3. The manager of human resources management is independent in the performance of his powers and is accountable for their performance directly to the director of the center.</p> <p>4. It is not allowed to create an obstacle in the activities of the human resources management manager or to interfere in any way. A person who obstructs the human resources management manager in the process of exercising his powers is subject to disciplinary responsibility, and the procedures defined by the regulation on disciplinary responsibility will be initiated against him. In case of interference by an unauthorized person, the person with the appropriate authority of the institution is obliged to contact the investigative structures of Georgia.</p> <p>5. The authorized person of the center is not responsible for the processing of the material or the procedures related to processing, which information and processing are carried out by the Maritime Transport Agency or the relevant structural units of the Ministry of Education and Science.</p> <p>6. Person responsible for processing:          "Meridian Maritime Training Center" LLC          Address: Georgia, Batumi, st. Javakhishvili No. 4 here.          Hotline: +995 0422 250 303          Mob: +995 555 40 03 03          E-mail: info@meridiani.ge</p> <p>7. Person authorized for processing:          Human resources management manager of "Meridian Maritime Training Center" LLC.</p>
---	--

ND2-O15

ძალაშია/Valid from: 11.04.2022

რევიზიის თარიღი/Revision Date: 11.04.2024

რევიზია/Revision: N2

დოკუმენტი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ/ is created by Quality Assurance Manager

<p>დამუშავებაც ხორციელდება საზღვაო ტრასპორტის სააგენტოს ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ.</p> <p>6. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: შპს „მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერ“, მისამართი: საქართველო, ბათუმი, ქ. ჯავახიშვილის №4აქ.                  ცხელი ხაზი: +995 0422 250 303                  მობ: +995 555 40 03 03                  ელექტრონული ფოსტა : info@meridiani.ge</p> <p>7. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი: შპს „მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერ“- ის ადამ რესურსების მართვის მენეჯერი.</p>	
<p>მუხლი 15. უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა</p> <p>1. ცენტრში უზრუნველყოფილია მონაცემთა დამუშავების ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების სტანდარტი, რომელიც მოქმედებს მონაცემთა დამუშავების მთელ ციკლზე.</p> <p>2. უსაფრთხოების სტანდარტები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:</p> <p>ა) მონაცემთა დაცვა, როგორც დამუშავების პროცესის განუყოფელი თვისება.</p> <p>ბ) დამუშავების უსაფრთხოებისთვის დანერგილი პროცედურების სრული ფუნქიონალურობა, დამუშავების მიზნების ან სუბიექტის უფლებების კომპრომისის გარეშე.</p> <p>გ) დამუშავების სრული ციკლის განმავლობაში ფუნქციონირება.</p> <p>დ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სუბიექტის წინაშე.</p> <p>ე) დამუშავების პროცესის ორიენტირება სუბიექტების უფლებათა დაცვის პრიორიტეტიდან გამომდინარე.</p> <p>ვ) მონაცემთა დამუშავების ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების სტანდარტები განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიების, მათი მოცულობის, დამუშავების მიზნის, ფორმისა და საშუალებების გათვალისწინებით.</p> <p>ზ) მონაცემების უსაფრთხო ფიზიკური შენახვისა და განადგურებისთვის დადგენილ წესებს (მათ შორის, სუფთა მაგიდის წესი, მონაცემთა დაცულ ადგილას განთავსების წესი, უსაფრთხო განადგურების წესი).</p>	<p>Article 15. Technical and organizational provision of security</p> <p>1. The technical and organizational security standard of data processing is provided in the center, which applies to the entire cycle of data processing.</p> <p>2. Safety standards are based on the following principles:</p> <p>a) Data protection as an integral feature of the processing process.</p> <p>b) full functionality of the procedures implemented for the security of the processing, without compromising the purposes of the processing or the rights of the subject.</p> <p>c) operation during the full processing cycle.</p> <p>d) Transparency and accountability to the subject.</p> <p>e) Orientation of the processing process depending on the priority of protection of the rights of subjects.</p> <p>f) Technical and organizational security standards for data processing are defined taking into account the categories of data, their volume, purpose of processing, form and means.</p> <p>g) the established rules for safe physical storage and destruction of data (including the clean table rule, the rule of placing data in a secure place, the rule of safe destruction).</p> <p>h) protection of data privacy by persons employed in the center, instructors, professional teachers, trainees of the training center and professional students/trainees in their relations with third parties.</p> <p>i) Implementation of relevant reports to the director of the center on the state of data processing, the</p>

ND2-O15

ძალაშია/Valid from: 11.04.2022

რევიზიის თარიღი/Revision Date: 11.04.2024

რევიზია/Revision: N2

დოკუმენტი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ/ is created by Quality Assurance Manager

<p>თ) ცენტრში დასაქმებული პირების, ისტრუქტორების, პროფესიული მასწავლებლების, ტრენინგ ცენტრის მსმენელებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას მესამე პირებთან ურთიერთობაში.</p> <p>ი) მონაცემთა დამუშავების მდგომარეობის, სუბიექტის უფლებების დაცვის ეფექტურობისა და გამართულობის შესახებ ცენტრის დირექტორისთვის შესაბამისი ანგარიშგებების განხორციელებას.</p> <p>კ) ცენტრში დასაქმებული პირების (მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლის), უფლებამოსილი პირების, ასევე, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.</p>	<p>effectiveness and efficiency of the subject's rights protection.</p> <p>j) conducting awareness-raising meetings and relevant trainings for persons employed in the center (including vocational education teachers), authorized persons, as well as for vocational students/trainees.</p>
<p>მუხლი 16. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა</p> <p>1. ცენტრის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე და შესაბამისი საფუძვლების გათვალისწინებით, დამუშავებული მონაცემები შესაძლებელია გადაცემულ იქნას საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ან/და სხვა სახელმწიფოში მყოფი/დაფუძნებული პირისთვის, მათ შორის, კერძო ან საჯარო ორგანიზაციებისთვის.</p> <p>2. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემისთვის ცენტრი იღებს შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სუბიექტის უფლებების დაცვა და გადაცემის უსაფრთხოება.</p> <p>3. ცენტრი საერთაშორისო გადაცემისთვის იღებს შემდეგ ზომებს:</p> <p>ა) აფასებს რისკებს, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან.</p> <p>ბ) აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას მიმღებ მხარესთან, რომელიც, მათ შორის, ითვალისწინებს ცენტრისა და მიმღები მხარის უფლებამოვალეობებს, სუბიექტის უფლებების დაცვის გარანტიებსა და გადაცემის შესაბამის მეთოდებს.</p> <p>გ) საჭიროების შემთხვევაში ათანხმებს და ნებართვას იღებს სახელმწიფო ინსპექტორისგან საერთაშორისო გადაცემის თაობაზე.</p>	<p>Article 16. International data transfer</p> <p>1. Depending on the objectives of the Center's activities and taking into account the relevant grounds, the processed data may be transferred to an international organization and/or a person located/established in another state, including private or public organizations.</p> <p>2. For the international transfer of data, the Center takes appropriate measures to ensure the protection of the subject's rights and the security of the transfer.</p> <p>3. The center takes the following measures for international transmission:</p> <p>a) evaluates the risks associated with international data transfer.</p> <p>b) signs a relevant contract with the receiving party, which, among other things, provides for the powers of the center and the receiving party, guarantees of protection of the subject's rights and appropriate methods of transfer.</p> <p>c) if necessary, agrees and obtains permission from the state inspector regarding international transfer.</p> <p>d) if necessary, control the processing of transferred personal data in order to comply with the legislation, including requesting information regarding the processing process.</p>

<p>დ) საჭიროების შემთხვევაში, აკონტროლებს გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობასთან თავსებადობის მიზნით, მათ შორის, გამოითხოვს ინფორმაციას დამუშავების პროცესთან დაკავშირებით.</p> <p>ე) უხნის აღნიშნულ რისკებს და მასთან დაკავშირებულ შედეგებს სუბიექტს;</p> <p>ვ) ღებულობს ინფორმაციის ასეთი გადაცემის შემთხვევაში სუბიექტისაგან თანხმობას.</p>	<p>e) informs the subject of the mentioned risks and related consequences;</p> <p>f) receives consent from the subject in case of such transfer of information.</p>
<p>მუხლი 17. გარდამავალი დებულებები</p> <p>1. ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელიც საჭიროებს პერსონალურ მონაცემებთან დაცვის აუცილებლობას, და არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკისა და case- by -case პრინციპის დაყრდნობით.</p> <p>2. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრი იტოვებს უფლებამოსილებას, რომ გაიაროს კონსულტაციები შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და დაწესებულებებთან.</p> <p>3. ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რეაგირებისათვის უფლებამოსილია მიმართოს ცენტრის იურისტს კონკრეტული შემთხვევაზე სამართლებრივი ანალიზისისა და ექსპერტიზის შესახებ. ცენტრის იურისტი ვალდებულია მოამზადოს სამართლებრივი ექსპერტიზის შესახებ რეპორტი და გაუზიაროს ადამიანური რესურსების მენეჯერს, რომელიც აღასრულებს და მოქმედებს აღნიშნული რეპორტით დადგენილი წესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მენეჯერი უფლებამოსილია არ გაიზიაროს ექსპერტიზით დადგენილი შედეგები და იმოქმედოს დამოუკიდებლად, სუბიექტისა და ცენტრის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.</p>	<p>Article 17. Transitional Provisions</p> <p>1. The issues related to the activity of the center, which require the need to protect personal data, and are not regulated by this regulation, should be resolved based on the applicable legislation of Georgia, international legal practice, and the case-by-case principle.</p> <p>2. In this regard, the Center reserves the right to consult with the relevant state agencies and institutions.</p> <p>3. The center's human resources management manager is authorized to refer to the center's lawyer for legal analysis and expertise on a specific case. The lawyer of the center is obliged to prepare a report on legal expertise and share it with the human resources manager, who executes and acts in accordance with the rules established by the said report. The human resources manager is authorized not to share the results determined by the expert and to act independently, in accordance with the best interests of the subject and the center.</p>
<p>მუხლი 18. დასკვნითი დებულებები</p> <p>1. დებულება შედგენილია ორი ენაზე. ენებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულენოვან ტექსტს.</p> <p>2. თუ დებულების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა გამოცხადებული, ეს არ იმოქმედებს მთლიანად დებულების ნამდვილობაზე.</p>	<p>Article 18. Final Provisions</p> <p>1. The regulation is drawn up in two languages. In case of conflict between languages, priority will be given to the Georgian text.</p> <p>2. If any article of the statute is declared invalid, this will not affect the validity of the statute as a whole.</p>

<p>3. დებულება ძალაში შედის დირექტორის გადაწყვეტილების მიღებისთანავე, თუ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p> <p>4. ცენტრი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება/დამატება წინამდებარე პროცედურაში.</p>	<p>3. The provision enters into force immediately after the decision of the director, unless otherwise provided by the decision.</p> <p>4. The center is authorized to make changes/additions to this procedure.</p>
<p>მუხლი 19. გავრცელების არეალი</p> <p>1. დებულებაში ცვლილებების შეტანა შეუძლია დირექტორს, ცენტრის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, ცენტრის ხელმძღვანელებს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.</p> <p>2. ცენტრის თანამშრომელთა ინფორმირება, შეტანილი ცვლილებების შესახებ, ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.</p> <p>3. ცენტრის თანამშრომელთათვის დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაწესებულების One Drive- ის საშუალებით.</p> <p>4. დებულება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ პირს.</p>	<p>Article 19. Distribution area</p> <p>1. Changes to the regulations can be made by the director, the quality assurance manager of the center's institution, and the heads of the center based on a written request.</p> <p>2. Center employees are informed about the changes made via e-mail.</p> <p>3. The document is available for the employees of the center through One Drive of the institution.</p> <p>4. The regulation is sent to all interested persons.</p>

## ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი / LIST OF REVISIONS

ცვლილება / Revision №	მიზეზი / Reason	ცვლილების თარიღი / Revision Date
1	დოკუმენტის შემუშავება/Developing new document	11.04.2022
2	შინაარსის სრული განახლება/Full content update	11.04.2024

ND2-O15

ძალაშია/Valid from: 11.04.2022

რევიზიის თარიღი/Revision Date: 11.04.2024

რევიზია/Revision: N2

დოკუმენტი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ/ is created by Quality Assurance Manager